

ვებგვერდზე <https://tbcbank.ge/ka/agreements> განთავსებული „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) მე-15 მუხლის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გათავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. ხელშეკრულების 22-ე მე-3 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„22.3.8. იმ შემთხვევაში, თუ ბარათი დაკავშირებულია სხვადასხვა ვალუტის რამდენიმე ანგარიშთან და ერთ-ერთი ვალუტის ანგარიშზე არსებობს არასანქცირებული ოვერდრაფტი, აღნიშნულ ბარათთან დაკავშირებულ რომელიმე ანგარიშზე ნაშთის არსებობის ან თანხის შეტანის/ჩარიცხვის შემთხვევაში, არასანქცირებული ოვერდრაფტის დაფარვა მოხდება თანხის კონვერტაციის გზით, ბანკის მიერ თანხის დაფარვის დღეს განსაზღვრული კომერციული კურსის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ საბარათე ოპერაციის შესრულებისას, ბარათთან დაკავშირებულ რომელიმე ვალუტის ანგარიშზე არსებობს არასანქცირებული ოვერდრაფტი, როგორც არასანქცირებული ოვერდრაფტის დაფარვის, ასევე საბარათე ოპერაციის შესრულებისთვის საჭირო თანხის კონვერტაცია, მოხდება თანხის დაფარვის დღეს ბანკის მიერ საბარათე ოპერაციებისთვის დადგენილი კომერციული კურსით. ამავდროულად, ანგარიშზე არსებული არასანქცირებული ოვერდრაფტის დაფარვის მიზნით, ბანკი უფლებამოსილია, შესაბამისი ოდენობის თანხა უაქცეპტო წესით (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) ჩამოწეროს კლიენტის, ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან (წინამდებარე ხელშეკრულების 21.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით).“

2. ხელშეკრულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს მე-11 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„22.3.11. კლიენტი ინფორმირებულია და ადასტურებს, რომ ბანკის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით (ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ, ნებისმიერ დროს), ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო თანხები, კლიენტის დამატებითი თანხმობის / ინფორმირების გარეშე, ჩამოწეროს/ჩამოჭრას საკრედიტო ლიმიტის (ოვერდრაფტის) ანგარიშზე განთავსებული/ჩარიცხული თანხებიდან.“

3. ხელშეკრულების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-7 ქვეპუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„27.3.7. ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების დაფარვის მიზნით ანგარიშზე შეტანილი/ჩარიცხული თანხის ბანკის მიერ ვალდებულების შესასრულებლად მიმართვამდე კლიენტის მიერ განკარგვის შემთხვევაში, ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად (დავალიანება არ ჩაითვლება დაფარულად).“

4. წინამდებარე დოკუმენტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაში შედის 2026 წლის 7 ივნისიდან, ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებები - ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.